დანართი №4

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ

სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ლაითურის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი

წევრები:

ლია ხარებავა

თორნიკე თუთარაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ლაითურის საჯარო სკოლა

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 237101970

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების დროს გამოვლენილი გარემოებების საფუძველზე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ლაითურის საჯარო სკოლის, *როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების, ადამიანურ თუ მატერიალურ რესურსებთან პროფესიული პროგრამების თავსებადობის მიზნით, შეფასდა სკოლის მომავლის ხედვა,ინფრასტრუქტურა (სასწავლო გარემო), ადამიანური (მათ შორის ადმინისტრაციული) რესურსების კვალიფიკაცია და სამუშაო დატვირთვა.*

შეფასება დაეყრდნო დაწესებულების მიერ თვითშეფასების დოკუმენტით წარმოდგენილი მტკიცებულებებს, სკოლის ვიზუალურ დათვალიერებას,ინტერვიუს მოდულების განმახორციელებლებთან და სკოლის ადმინისტაციულ პერსონალთან.

ზოგადსაგანმანათლებელო დაწესებულებაში დასაქმებული არიან მასწავლებლები, რომელიც ახორციელებს ინტეგრირებული პროფესიული პროგრამების სწავლებას. მასწავლებლების სამუშაო დატვირთვა შესაძლებელს ხდის ერთი აკადემიური წლის განმავლობაში შეუფერხებლად განახორციელო სასწავლო პროცესი, თუმცა რჩევაა დაწესებულებამ პროგრამის მდგრადობის მიზნით, მომდევნო სასწავლო წლისთვის (სწავლების მეორე წელი), უზრუნველყოს შესაბამისი კადრების მოზიდვა ან/და ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებზე საათობრივი დატვირვის გადახედვა , რათა პროფესიული სტუდენტებისთვის სრულფასოვანი სერვისების მიწოდება იყოს უზრუნველყოფილი.

რაც შეეხება დაწესებულების ინფრასტრუქტურას, ვიზუალური დათვალიერებით, სივრცე სადაც განთავსდებიან პროფესიული სტუდენტები (A,B,C გარემო) საჭიროებს შესაბამის მოწყობას , რაც გაწერილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში,ხოლო საბუნებისმეტყველო ლაბორატორია (ფიზიკის ცალკე, ქიმია-ბიოლოგიის ცალკე) საჭიროებს განრიგის განსაზღვრას და დაზუსტებას,თუ რა პერიოდში მოხდება პროფესიული პროგრამების განხორციელება ლაბორატორიის სივრცეში.

სპორტის სახეობად დაწესებულებას პროფესიული სტუდენტებისთვის შერჩეული აქვს სპორტის სხვადასხვა სახეობები .ვიზუალური დათვალიერებით სკოლის სპორტული დარბაზი საშუალებას იძლევა ეფექტიანად წარიმართოს სწავლება, თუმცა რჩევაა დარბაზის სივრცის გამოყენებისთვის სკოლამ დაადგინოს განრიგი, რითაც პროფ. სტუდენტებს არ შეეზღუდება მიიღონ შესაბამისი სერვისი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა შესალებელს ხდის სრულფაოვანი ადმინისტრაციული მხარდაჭერა-დაგეგმვის, კონტროლის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესის მონიტორინგის, პროფესიული სტუდენტისთვის სრულფასოვანი სერვისების მიწოდების უზრუნველსყოფად.დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა იძლევა პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას, თუმცა რეკომენდებულია შესაბამისი ფუნქციის მქონე პირების პროფესიული გადამზადება ამ მიმართულებით.
დასკვნა- დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში განახორციელოს კონკრეტული აქტივობები, რათა ეფექტიანად დაიგეგმოს და განხორციელდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.
ამასთან, ყველა პროცესის და ასპექტის რეალისტურად გაზრების საფუძველზე რჩევაა დაწესებულებამ იზრუნოს ინტეგრირებული მოდულის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის მოზიდვაზე, ასევე რისკების მართვის ეფექტური და ეფექტიანი სისტემის შემუშავებაზე.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

-

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. ავტორიზაციის სტანდარტებთან/კომპონენტებთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
1) დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
1.1) დაწესებულების მისია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2) დაწესებულების სტრატეგიული განვითარება	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



4) ადამიანური რესურსები	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ■ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ■ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ■ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ■ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2) პერსონალის განვითარება	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
5.2) საინფორმაციო რესურსები	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
5.3) ფინანსური რესურსები	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
კომპიუტერული ქსელები და სისტემები	☐ **შეესაბამება** [redacted] **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** [redacted] **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*გთხოვთ, ასახოთ **<u>ყველა ხარვეზი</u>** (სტანდარტის შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

4.1.1.1; 4.1.1.2. - დაწესებულებამ უზრუნველყოს პერსონალის მოძიება პროფესიული განათლების მიმართულებით და ორგანიზაციული სტრუქტურისა და დოკუმენტების განახლება სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (8თვე)

2.2.1.1. - დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანმანათლებლო სივრცის (A, B და C ტიპის სასწავლო გარემო) აღჭურვა შესაბამისი მატერიალური რესურსით - სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (6 თვე);

2.2.1.2 - უზრუნველყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროგრამის ხელმძღვანელის და დარგობრივი მოდულების განმახორციელებლების დასაქმება.- (6 თვე).

2.2.1.3 - უზრუნველყოს პროგრამის განმახორციელებლებისთვის ტრენინგების დაგეგმვა/განხორციელება, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - (6 თვე).

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

1. **დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება**
   1.1 საგანმანათლებლო დაწესებულების მისია
   1.1.1 დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში
   1. დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა დაწესებულებებისაგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;**
   დაწესებულების მისიაა: ,,სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ლაითურის საჯარო სკოლა არის დემოკრატიული და ეროვნული ღირებულებების მატარებელი ორგანიზაცია, რომელიც ზრდის პატრიოტ, თავისუფლად მოაზროვნე, სოციალურად აქტიურ, კონკურენტუნარიან მოსწავლეს/პროფესიულ სტუდენტს, რომელიც სწრაფადცვალებად და მრავალფეროვან სამყაროში შეძლებს შრომის ბაზარზე ადაპტირებას და პოზიტიური წვლილის შეტანს საზოგადოებრივ ცხოვრებაში''. დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს. კერძოდ მისიაში ასახულია, რომ სკოლა ორიენტირებულია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებასა და პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე. დაწესებულების მისია შესაბამისობაშია პროფესიული განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემდეგ მიზნებთან: ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მისია შესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს.**
2. **მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა დაწესებულებებისაგან;** მისია არის გასაგები და მამოტივირებელი. მასში იკვეთება დაწესებულების ძირითადი პროფილი. ხაზგასმულია ადგილობრივი თემის სპეციფიკა.
   მისიიდან, ჩანს დაწესებულების როლი, რომ სკოლა იძლევა საშუალებას ახალგაზრდამ მიიღოს როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული განათლება. სასწავლო დაწესებულება ორიენტირებულია მოსწავლე/პროფესიული სტუდენტი იყოს მეტად კონკურენტუნარიანი, მაქსიმალურად შეძლოს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაცია და პიროვნული ფასეულობებითა და მიღებული ცოდნით დაუპირისპირდეს თანამედროვე სამყაროს გამოწვევებს.ინდიკატორი **დაკმაყოფილებულია.**

3. **დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;**
   სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ლაითურის საჯარო სკოლის მისია არის გასაგები და მამოტივირებელი. მასში იკვეთება დაწესებულების ძირითადი პროფილი. მისიიდან, ჩანს დაწესებულების როლი, რომ სკოლა იძლევა საშუალებას ახალგაზრდამ მიიღოს როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული განათლება. სასწავლო დაწესებულება ორიენტირებულია მოსწავლე/პროფესიული სტუდენტი იყოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



მეტად კონკურენტუნარიანი, მაქსიმალურად შეძლოს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაცია და პიროვნული ფასეულობებითა და მიღებული ცოდნით დაუპირისპირდეს თანამედროვე სამყაროს გამოწვევებს, რაც თავისთავად გულისხმობს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად პროფესიონალი კადრების მომზადებას.**ამდენად, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;** სკოლის მისიიდან გამომდინარეობს მისი ხედვა და ღირებულებებიც, რომელიც თავსებადია დაწესებულების მისიასთან და ითვალისწინებს მისიით განსაზღვრული მიმართულებების რეალიზებასთან დაკავშირებულ მიდგომებსა და პრინციპებს.

სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ლაითურის საჯარო სკოლის ხედვაა: იყოს მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული, კერძოდ:

➢ 2030 წლისთვის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ზღვრული რაოდენობა მიაღწევს სკოლაზე გათვლილ მოსწავლეთა რაოდენობას; სკოლა გახდება პროფესიული განათლების ხელშემწყობი; შენარჩუნებული იქნება სასწავლო საგნობრივ ოლიმპიადებში, კონკურსებსა და პროექტებში, სპორტულ შეჯიბრებებში წარმატებული მონაწილეობის ტრადიცია.

➢ ამ მიზნით სკოლის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები იქნება:

➢ სკოლაში ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სწავლა სწავლების პარალელურად არაფორმალური განათლების მეთოდების შემუშავება;

➢ მოსწავლეების/პროფესიული სტუდენტების შესაძლებლობების, ნიჭისა და ინტერესების რეალიზება, ძლიერი მხარეების აღმოჩენა და განვითარება, სკოლაში შექმნილი შესაბამისი ინკლუზიური, ინდივიდუალური მიდგომების კიდევ უფრო მეტად დახვეწა;

➢ მოსწავლისათვის/პროფესიული სტუდენტისათვის იმ უნარ-ჩვევების განვითარება, რომლებიც თითოეულ მათგანს მისცემს საშუალებას უკვე არსებული გამოცდილება და მიღწევები გამოიყენოს ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად;

➢ თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და გამოწვევების შესაბამისად, მოსწავლის თავისუფალ და წარმატებულ პიროვნებად ჩამოყალიბებაზე ზრუნვა;

➢ საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის მიღება.

სკოლის ღირებულებებია: სკოლის მისიისა და ხედვიდან გამომდინარე სკოლის ღირებულებებია:

- სიახლეების მიმართ ღიაობა
- სხვათა შრომის, მიღწევებისა და აზრის პატივისცემა
- სამართლიანობა
- გუნდურობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



- ერთგულება
- გამჭვირვალობა
- უწყვეტი განვითარება პროფესიული განათლების მიმართულებით

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;

5. **მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.** სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მონაწილეობით. სკოლის დირექტორის ბრძანებით (ბრძ. N 2-24;13.06.2025) შექმნილმა ჯგუფმა კითხვარების საშუალებით შეაგროვა ინფორმაცია, გადაამუშავა და სამეურვეო საბჭოს მიაწოდა დასამტკიცებლად. იმის გათვალისიწინებით, რომ აღნიშნულ ორგანოებში შედიან როგორც პედაგოგები, ასევე მშობლები და მოსწავლე, მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ.
   მისია, ხედვა და ღირებულებები ატვირთულია, ასევე, სკოლის ვებგვერდზე და გამოკრულია სკოლაში საინფორმაციო დაფაზე, რითაც უზრუნველყოფილია მოთხოვნა, რომ ისინი საჯაროდ გაზიარებისა და ხელმისაწვდომობის შესახებ.
   ამდენად, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სკოლის ვებ გვერდი https://skolebi.emis.ge/schools/576;
2. შემუშავებული სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები;
3. ბრძანება „სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ (ბრძ. N 2-24; 13.06.2025)

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. დაწესებულების შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა; დაწესებულებამ წარმოადგინა შიდა რეგულაციებით დადგენილი დოკუმენტაცია რითაც უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა; კერძოდ, სკოლის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებით დამტკიცებული მარეგულირებელი დოკუმენტებით, უზრუნველყოფილია პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესების დაცვა, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს კანონთან „პროფესიული განათლების შესახებ“ და სხვა ნორმატიულ აქტებთან. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია,, პროფესიული სტუდენტის უფლებები ‘’(ბრძ.N2 -25; 13.06.2025).წაროდგენილია დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება’’(ბრძ.N2-36; 13.06.25) , სადაც გაწერილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესი, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ორგანიზება, აპლიკანტთა შერჩევა, სასწავლო გარემოსთან პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციისა და მხარდაჭერის ღონისძიებები, ტესტირების ორგანიზების საკითხები, კოლეჯში ჩარიცხვის მიდგომები, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვის პროცედურა და შესაბამისი კომისიის შექმნისა და მუშაობის პრინციპები და სხვა .შემუშავებულია სკოლასა და პროფესიულ სტუდენტს შორის დასადები ხელშეკრულების ფორმა (მათ შორის არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში), რომლითაც გარანტირებულია სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა.პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების მუხლი 39 განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების, შეწყვეტისა და აღდგენის გარემოებებს, რომელთა შინაარსი არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნებს. დებულების მუხლები უზრუნველყოფენ პროფესიულ სტუდენტთა შიდა და გარე მობილობის პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 სექტემბრის No198/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიული სტუდენტის მობილობის წესით“ განსაზღვრულ დებულებებთან. დებულება მუხლი არეგულირებს ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების საფუძვლებს, ფორმალური განათლების აღიარების ეტაპებს და ვადებს, ისინი შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 28 დეკემბრის N121/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესთან.“ პროფესიული სტუდენტის უფლებების მარეგულირებელი დოკუმენტი შეიცავს ინფორმაციას, აგრეთვე, პროფესიული სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების შესახებ, რომელიც დისციპლინური გადაცდომის ზომიერია.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების მუხლები განსაზღვრავს კვალიფიკაციის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის პროცედურას. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;

სკოლის დირექტორის ბრძანებით (ბრძ. N2 -36; 13.06.2025) დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება, რომლის თანახმად, პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვისას, სასწავლო პროცესის დაწყებამდე, სკოლა მოაწყობს საორიენტაციო და საინფორმაციო შეხვედრებს. ახალი პროფესიული სტუდენტის სასწავლო გარემოსთან ადაპტირების პროცესს ორგანიზებას გაუწევს დირექტორის მოადგილე (სასწავლო პროცესის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი). პროფესიულ სტუდენტებთან საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრის მიზანია პროფესიულმა სტუდენტენმა გაიცნონ ზსდ-ის პერსონალი, მიეწოდოთ ამომწურავი ინფორმაცია სასწავლო პროცესისა და ზსდ-სა და პროფესიული სტუდენტის თანამშრომლობის საკითხებზე. დებულება ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტისთვის საინფორმაციო ხასიათის ბუკლეტის მიწოდებას, რომელიც დაეხმარება მას შიდა პროცესების ადაპტაციაში.პროფესიული სტუდენტების მიერ, საკუთარი უფლებების გაცნობა დადასტურდება, პროფესიულ სტუდენტთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმით . პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის, ატვირთულია დაწესებულების ვებ-გვერდზე.აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით; დაწესებულების დირექტორის ბრძანებით (ბრძ.2-36;13.06.25) დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება, რომლის თანახმად, პროფესიულ სტუდენტებს, მიეწოდებათ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ინფორმაცია შეფასების სისტემის შესახებ, რომელიც თავის მხრივ ითვალისწინებს შეფასების შედეგების გასაჩივრებას. გარდა ამისა, დებულება მოიცავს სასწავლო პროცესის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტებთან გაერთიანებული შეხვედრების ციკლის ჩატარების შესაძლებლობას პერმანენტულად სწავლების მთელი პერიოდის განმავლობაში, აღნიშნულ შეხვედრებზე მოხდება სხვადასხვა საკითხების განხილვა, მათ შორის სუდენტების უფლებები.ამასთან, გათვალისწინებულია კონსულტაციების განხორციელება პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან.

პროფესიული მასწავლებლის უფლება-მოვალეობებშიც გაწერილია ვალდებულებები, რომელიც პროფესიული სტუდენტის კონსულტირების საკითხს მოიცავს, მათ შორის შეფასების სისტმაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
დაწესებულების მიერ წარმოდგენილია დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის უფლებებს და კანონიერ ინტერესებს, ამასთან დაწესებულების წარმომადენელთა განამარტებით, ვინაიდან პროგრამა ითვალისწიებს არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადებას, გათვალისწინებული იქნება მათ მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლეთან ხელშეკრულების დადება. ხელშეკრულების შინაარსი არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობისა და სკოლის შიდა მარეგულირებელი აქტებით გასაზღვრულ დებულებებს და მასში დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.

- პროფესიული სტუდენტის უფლებები (ბრძ. N2-25; 13.06.25);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება (ბრძ.N2-36; 13.06.25) ;
- დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. დაწესებულებების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;**
სკოლის დირექტორის 2025 წლის 13 ივნისის №2-27 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელშიც თანამშრომელთა ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები მკაფიოდ არის განსაზღვრული.
მარეგულირებელი დოკუმენტი ითვალისწინებს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელი პირის, პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესიული განათლების მასწავლებლის და პროფორიენტაციასა და კარიერის დაგეგმვაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.
დაწესებულებამ თვითშეფასების დოკუმენტთან ერთად, წარმოადგინა სკოლის დირექტორის 2025 წლის 13 ივნისის N2-50 ბრძანებით დამტკიცებული სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის 8 თვიანი გეგმა. რომლის მიხედვით განსაზღვრულია ვადები და აქტივობები , რითაც უზრუნველყოფილი იქნება სტრუქტურული ერთეულების/პირების მოძიება და ორგანიზაციული სტრუქტურისა და დოკუმენტების განახლება, სადაც განისაზღვრება მათი მკაფიო ფუნქციები**. ინდიკატორის მოთხოვნა ფასდება ნაწილობრივ შესაბამისობით.**
ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა თანამშრომელთა წინარე ხელშეკრულებები, რომლითაც განსაზვრულია ხარისხსი მართვის მენეჯერის, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის და შესყიდვების სპეციალისტის ფუნქციები და პასუხისმგებლობები,სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მარეგულირებელი დოკუმენტი. თუმცა, აღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები სრულად ვერ უზრუნველყოფს ძირითადი და დამხმარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელებას. შესაბამისად, დაწესებულება გეგმავს გადახედოს და განავითაროს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა პროფესიულ განათლებასთან მიმართებაში წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით,**ინდიკატორი ნაწილობრივ შესაბამისობაშია.**

2. **დაწესებულებების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;**
   სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მარეგულირებელი დოკუმენტი(ბრძ. N2-27;13.06.2025) , აღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები სრულად ვერ უზრუნველყოფს ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელებას. შესაბამისად, დაწესებულება გეგმავს გადახედოს და განავითაროს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა პროფესიულ განათლებასთან მიმართებაში. შესაბამისად, დაწესებულებას, დირექტორის 2025 წლის 13 ივნისის N2-50 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია სტანდარტის შესაბამისობის მოყვანაზე პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და ვადები **. ინდიკატორი ნაწილობრივ შესაბამისობაშია.**

3. **დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.**

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის სამუშაო აღწერილობას, რომელიც გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

სკოლის დირექტორის 2025 წლის 13 ივნისის №2-33 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის მიზანია დაწესებულებაში სასწავლო საქმიანობის, მეთოდებისა და რესურსების, აგრეთვე, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხის სისტემატური შეფასება და მის განვითარება–განახლებაზე ზრუნვა. ვიზიტის პერიოდში ექსპერტებს საშუალება ჰქონდა გასაუბრებოდნენ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელთან, სადაც ნათლად გამოიკვეთა, რომ პირმა მკაფიოდ იცის თავისი სამუშაო ფუნქციები და აღწერილობა,თუმცა მზადაა პროფესიული განვითარების მიზნით, გაიაროს შესაბამისი ტრენინგებიც. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ მარეგულირებელი დოკუმენტი (ბრძ.N2-27;13.06.2025);
- ,, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები'' (ბრძ. N 2-33;13.06.2025);
- ხელშეკრულება ხარისხის მართვის მენეჯერთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



- ინტერვიუს შედეგებით;
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით;

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.

4.1.2 დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად;
2. დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად;**

დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის დირექტორის 2025 წლის 13 ივნისის N 2-48 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია: პერსონალის მართვის პრინციპები, პერსონალის შერჩევის პროცესი, კონკურსის ჩატარების პროცედურა, თანამშრომლის დაწესებულებაში ინტეგრაციის პროცედურა, პერსონალის შეფასების პროცედურა და მეთოდოლოგია, პერსონალის წახალისება და განვითარება. პერსონალის მართვასთან დაკავშირებული მარეგულირებელი დოკუმენტები ხელმისაწვდომობის მიზნით, განთავსებულია სკოლის ვებ. გვერდზე/საინფორმაციო დაფაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;**

დაწესებულებაში პერსონალის შერჩევა რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და დაწესებულების შიდა რეგულაციების, მათ შორის, სკოლის დირექტორის 2025 წლის 13.06.25 N2-48 ბრძანებით, დამტკიცებული ,,პერსონალის მართვისა და განვითარების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



პოლიტიკის ‘’მიხედვით. სამუშაოს დაწყების მსურველის ცოდნის და უნარ-ჩვევების შემოწმებისთვის ახალი თანამშრომლის აყვანისას, დაწესებულებამ შესაძლებელია გამოიყენოს შესარჩევი მეთოდიკის ფართო სპექტრი გასაუბრება, ტესტირება, კონკურსი და სხვა. ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში, დაწესებულებას შეუძლია ვაკანსიის მოთხოვნის დაკმაყოფილება, არსებული საკადრო ბაზიდან ან/და ღია კონკურსის გამოცხადებით. გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით; დაწესებულებაში დასაქმება შესაძლებელია როგორც კონკურსით შერჩევის, ასევე, კანდიდატთან გასაუბრების გზით. პერსონალი შესაძლოა დანიშნულ იქნას დანიშვნის აქტით - ბრძანებით/შრომითი ხელშეკრულებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“, რომელშიც გაწერილია სავალდებულო საკვალიფიკაციო მოთხოვნები და რომლის შესაბამისად დაკომპლექტებულია ადმინისტრაციული პერსონალი.

დაწესებულებას საკვალიფიკაციო მოთხოვნებში განსაზღვრული აქვს მინიმალური განათლების დონე, რიგ შემთხვევაში შესაბამისი პროფესიული გამოცდილება, ტექნიკური უნარები, ენის ფლობა, პოზიციის შესაბამისი საკანონმდებლო აქტების ცოდნა. განსაზღვრული მოთხოვნები შესაბამისია პოზიციების და განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობების. ყველა პერსონალი აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, მათ პირად საქმეებში დაცულია შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.**ინდიკატორი დაკაყოფილებულია.**

4.დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის’’ დოკუმენტის მიხედვით, დაწესებულების პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

პერსონალის მართვის პოლიტიკის ამოცანები, ხელს უწყობს ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბება-გაძლიერებას, პერსონალის საერთო მიზნის გარშემო გაერთიანებას. დაწესებულების საქმიანობაში აქტიურად გამოიყენება სამუშაო შეხვედრები.

დაწესებულების პერსონალი მუშაობს გუნდურობის პრინციპით, რომლის მტკიცებულებად შეიძლება მივიჩნიოთ დაწესებულებაში მოქმედი სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტი, ასევე სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დაწესებულების სტურქტურა, ასევე, ცხადჰყოფს, რომ დაწესებულებაში მიმდინარე პროცესები ხორციელდება კოლეგიალური პრინციპების გათვალისწინებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მარეგულირებელი დოკუმენტი''

,,პერონალის მართვის და განვითარების პოლიტიკა''

პერსონალთან დადებული წინარე ხელშეკრულებებით;

ინტერვიუს შედეგებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

ცხრილი ივსება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისა და ასევე, პროგრამის განხორციელების ადგილის და ენის მიხედვით (ინდივიდუალურ პროგრამებად განიხილება განხორციელების ადგილისა და სწავლების ენის მიხედვით განსხვავებული პროგრამები. მაქსიმუმ 15 პროგრამა).

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელები და სისტემები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელებსა და სისტემებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	დირექტორის 13 ივნისი, N 2-49 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართ(ებ)ი	სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ლაითურის საჯარო სკოლა
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	40
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	87
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	147
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ■
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუ არ ეთანხმებით დაწესებულების მიერ მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, გთხოვთ, დაასაბუთოთ:

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი
ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ **შეესაბამება** ■ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ■ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია დაწესებულებში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმ ოხილვა და ანალიზი:

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია დაწესებულებში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. **დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;** დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება, სადაც იკვეთება პროგრამის საჭიროება დასახლებაში/რეგიონში. ის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



თანხვედრაშია დაწესებულების, მისიასთან და შესაბამისად სტრატეგიულ განვითარებასთან რომელიც გულისხმობს შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროგრამის დამატებას და განხორციელებას და პროგრამათა სპექტრის გაფართოვებას.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;**

,,კომპიუტერული ქსელისა და სისტემების“ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, ხოლო პროგრამაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დაშვების წინაპირობაა 10 კლასის დაძლევა. დაწესებულებას რაიმე სპეციფიკური მოთხოვნა დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით არ გააჩნია. პროგრამის განხორციელების ვადა ორი წელია. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სრულად უზრუნველჰყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველჰყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;** დირექტორის 13 ივნისის N 2-36 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება რომელიც ადგენს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას, პროგრამაზე ჩასარიცხი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის დადგენისას დაწესებულება ხელმძღვანელობს როგორც A სასწავლო გარემოს, ასევე B და C (საჭიროების შემთხვევაში) სასწავლო გარემოების არსებობას და მათი ინფრასტრუქტურისა და მასწავლებლების რაოდენობრივ მაჩვენებლებს. აღნიშნული მეთოდოლოგიის საფუძველზე დაწესებულებამ განსაზღვრა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა. კომპიუტერული ქსელისა და სისტემების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია ერთი სასწავლო აუდიტორია. A,B,C გარემო გამოიყენება როგორც დარგობრივი მოდულების განსახორციელებლად ასევე თეორიული მოდულებისთვის. რაც შეეხება ინტეგრირებული მოდულებისთვის (მეცნიერების და ტექნოლოგიის მოდული) გამოსაყენებელ ლაბორატორიას სკოლას მიეცა რჩევა განსაზღვროს განრიგი რითაც უზრუნველყოფილი იქნება როგორც ზოგადსაგანმანათლებლო , ისე პროფესიული პროგრამების განხორციელება.**აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;**

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად საჭირო სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსი სკოლას სრულად აქვს განსაზღვრული (დანართი 2 - მატერიალური რესურსების ფორმა). კომპიუტერული ქსელისა და სისტემების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულია, ასევე, საგანმანათლებლო რესურსი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



როგორც ინტეგრირებული, ისე არაინტეგრირებული მოდულებისთვის, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.
6. **საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;** ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანების მე-2 მუხლით დამტკიცებული დანართი N1-ის ,,საჯარო სკოლის წესდების" მე-21 მუხლის, ამავე წესდების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ე1" ქვეპუნქტის საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები'' დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის, დირექტორის 13 ივნისი, N 2-49 ბრძანებით.**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
7. **პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;** პროგრამის სახელწოდება ,,კომპიუტერულო ქსელი და სისტეები" არ შეცვლილა და იგივეა რაც პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში. სრულად შეესაბამება როგორც პროგრამის შინაარსს, ასევე პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არაა შეცდომაში შემყვანი. პროგრამით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგი მოიცავს სფეროში დასაქმებული პირის ფუნქციებს, მოვალეობებსა და კომპეტენციებს.**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
8. **დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ, პროგრამის შემუშავების საფუძველია: პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები.'' პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა და სხვ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.

- დამტკიცებული პროგრამით.

დაწესებულების დირექტორის ბრძანება პროგრამის დამტკიცების შესახებ

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელები და სისტემები'' განხორციელებისთვის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული აქვს 40 სტუდენტით, მათ შორის ერთ ჯგუფში მისაღები სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობაა 20. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტის დროს შემოწმდა დაწესებულების მიერ პროგრამის განხორციელებისათვის გამოყოფილი A/B/C გარემოები, რომელიც არ იყო აღჭურვილი პროგრამის განხორციელებისვის საჭირო მატერიალური რესურსით. უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულება პირველად იმატებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას განხორციელების მიზნით.

დაწესებულების მიერ თვითშეფასების დოკუმენტის თანახმად ინდიკატორი **2.2.1.1 შეფასებულია მეტწილი შესაბამისობით,** „საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა არ არის სრულად უზრუნველყოფილი დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, აღნიშნულთან დაკავშირებით მათ მიერ წარმოდგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილია, პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სტანდარტის შესაბამისობაში მოყვანის დრო, პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და რესურსები.აღნიშნულიდან გამომდინარე, ***დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია - უზრუნველყოს საგანმანათლებლო სივრცეების აღჭურვა პროგრამის შესაბამისი მატერიალური რესურსით, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში- (6 თვე)*.შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი შეფასდა მეტწილ შესაბამისობით.**

2. **პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;** ,,კომპიუტერული ქსელები და სისტემების''ინტეგრირებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა, როგორც ზოგად, ისე ინტეგრირებულ და დარგობრივ მოდულებზე, უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას. წინარე ხელშეკრულებები გაფორმებულია ინტეგრირებული მოდულების მასწავლებლებთან. პროფესიული მოდულების ფარგლებში ჩართულია პროფესიული მასწავლებლები. თუმცა, დაწესებულება გეგმავს დარგობრივი მოდულების მოძიების პროცესის გაგრძელებას, რაც ასახულია შესაბამისობის გეგმაში . ***დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია - უზრუნველყოს ადამიანური რესურსით, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში- (6 თვე) აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია.***

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;** მასწავლებელთა პირადი საქმეების შესწავლით, სადაც წარმოდგენილი იყო კვალიფიკაციის დამადასტურებელი, ტრენიგნების გავლის, სამუშაო გამოცდილების და სხვ. დოკუმენტები და პედაგოგებთან შერჩევითი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



პრინციპით ჩატარებული გასაუბრებით, გამოიკვეთა, რომ პროფესიული განვითარების თვალსაზრისით, მოდულების განხორციელებისთვის და პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასებისთვის საჭიროებენ კონპენტეციების ამაღლებას. აგრეთვე ზოგადი ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლებს, ისინი შერჩეული არიან სკოლის მოქმედი მასწავლებლებიდან, რომელთა ცოდნა და კომპეტენცია განსახორციელებელი მოდულების მიმართულებით დასტურდება კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებით. მიუხედავად, იმისა, რომ სკოლა იზიარებს ახალი სკოლის მოდელს და მოსწავლეთა შეფასებისათვის იყენებს კომპლექსურ დავალებებს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლებისა და შეფასების სპეციფიკის გათვალისწინებით, განმახორციელებელი პირები საჭიროებენ დამატებით გადამზადებას. შესაბამისად, მათთვის, როგორც სკოლის შიდა რესურსით, ისე გარე რესურსებით (ააიპ პროფესიული უნარების სააგენტოს ჩართულობით) დაგეგმილია ტრენინგები, რითაც დაეუფლებიან შეფასებისა და სწავლების თანამედროვე მიდგომებს. აქედან გამომდინარე, დაწესებულებას, დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია სტანდარტის შესაბამისობის მოყვანაზე პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და თარიღები.***რეკომენდებულია დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში განახორციელოს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.***

4. პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით;

ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავდა პროგრამის ხელმძღვანელი , თუმცა მისის კვალიფიკაციის შესწავლისა და დარგობრივი ექსპერტის გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე , ექსპერტები მიიჩნევენ რომ აღნიშნულის პირი ვერ უზრუნველყოფს მოდულის ეფექტიანად წარმართვას და ხელმძღვანელობას. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის ფარგლებში 6 თვის ვადაში განსაზღვრულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირის დასაქმება. **დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია** - უზრუნველყოს შესაბამისი ადამიანური რესურსის დასაქმება, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში- (6 თვე)აღნიშულის **გათვალისწინებით ინდიკატორი მეტწილად შესაბამისობაშია.**

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში; ექსპერტების მიერ განხორციელდა სკოლის ბიბლიოთეკის დათვალიერება. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმდა ყველა მათგანი და დადასტურდა მათი ფონდში არსებობა. ბიბლიოთეკის მომსახურების ფარგლებში შესაძლებელია ამობეჭდვაც, სკოლის ბიბლიოთეკაში განთავსებულია კომპიუტერები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



სადაც ჩატვირთულია ელექტრონული წიგნები, იქვეა განთავსებული პრინტერი სკანერით, რომლის გამოყენებაც შეუზღუდავად შეუძლიათ პროფესიული განათლების მასწავლებლებს და პროფესიულ სტუდენტებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებებისა და შესაძლებლობების შესაბამისად.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

7. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი, ინტიგრირებული და არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში. როგორც ინტეგრირებული ასევე, არაინტეგრირებული საპროგნოზო ბიუჯეტი შეიცავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ სავარაუდო შემოსავლებისა და ხარჯების კალკულაციას. შემოსავალი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას, სადაც გათვალისწინებულია შემოსავლებში- ვაუჩერული დაფინანსება. ხარჯებში- პროფესიული მასწავლებლის შრომითი ანაზღაურება და მასალა ნედლეულის ხარჯი. საპროგნოზო ბიუჟეტის მიხედვით პროგრამა მდგრადია, რადგან სავარაუდო ხარჯების ნაწილს ფარავს შემოსავლების ნაწილი. პროგრამის რეალური ბიუჯეტი შედგება პროგრამის ერთი ციკლის დასრულების შემდეგ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
- პერსონალის პირადი საქმეებით;
- ინტერვიუთი;
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების დაწესებულებაში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.; დაწესებულებას დამტკიცებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება“ სადაც გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება,განვითარების და გაუქმების მექანიზმები. აღნიშნული მექანიზმის მიხედვით დაწესებულება პროგრამაში ცვლილებების განცორციელების დროს გამოიყენებს პროგრამის შიდა და გარე შეფასების შედეგებს, შრომის ბაზრის მოთხოვნებს,პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების გამოკითხვის შედეგებს, პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს, პრაქტიკის ობიექტის არსებობის შემთხვევაში პროგრამის განხორციელებაში ჩართული პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენელთა გამოკითხვის შედეგებს.აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



2. დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დაწესებულება პროგრამის ხელმძღვანელისა და პროგრამის განმახორციელებელი პირების ჩართულობით სისტემატიურად განახორციელებს

შეხვედრებს, სადაც მოხდება გამოცდილების გაზიარება და პროგრამის განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირება. პროგრამის განვითრების როცესში გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა პარამეტრები: რესურსის ცვლილება, სტანდარტის ცვლილება, მიღწეული შედეგების ანალიზი და სხვა. პროგრამის განვითარების ღონისძიებები განხორციელდება სკოლის დებულების თანახმად.აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება“;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას, სასწავლო კურსების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია სტუდენტის სავარაუდო კვირეული დატვირთვა. სასწავლო გეგმაში დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისთვის.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე; ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებით“ განსაზღვრულია ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია/პროცედურა. ამ დოკუმენტის შესაბამისად, ინდივიდუალური სასწავლო გეგის შემუშავების აუცილებლობა დგება, თუ: პროფესიულ სტუდენტს დადგენილი აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, პროფესიული სტუდენტი ხანგრძლივი ავადმყოფობის ან სხვა ობიექტური მიზეზის გამო, დროებით საჭიროებს სპეციალური საგანმანათლებლო რეჟიმს/ინგ-ს, პროფესიული სტუდენტი სარგებლობს მობილობით, ფორმალური განათლების ნაწილობრივი აღიარების/დადასტურების შემთხვევაში ან სხვა შემთხვევები, როდესაც ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება დგება პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვის გათვალისწინებით/მისი ჩართულობით.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას; სწავლების მეთოდების შესახებ ინფორმაცია მოცემულია მოდულებში, ხოლო დარგის ტექნოლოგიების გამოყენებას უზრუნველყოფენ პროფესიული განათლების მასწავლებლები შესაბამისი სიახლეების გაცნობის, მიწოდების და სწავლების პროცესში.დაწესებულების მხრიდან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვება ხდება პირველად, შესაბამისად დაწესებულების მიერ სასწავლო პროცესი ჯერ არ განხორციელებულა.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები; დაწესებულებას „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებაში“გაწერილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების გარემოებები და პროცედურები. დებულების შესაბამისად, “ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შემუშავდება ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც პროფესიული სტუდენტის სწავლება შეუძლებელია სტანდარტული სასწავლო გეგმით, მათ შორის: ა) პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენისას; ბ) პროფესიული სტუდენტის შიდა ან გარემო მობილობისას; გ) მიღებული ფორმალური განათლების აღიარების შემდგომ სწავლის გაგრძელებისას; დ) მიღებული არაფორმალური განათლების აღიარების შემდგომ სწავლის გაგრძელებისას; ე) სსსმ და შშმ პირთა სწავლებისას.“ დაწესებულებას სტუდენტთა მიღება ჯერ არ განუხორციელებია, შესაბამისად პრაქტიკაში პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების მაგალითები არ არსებობს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით; დაწესებულება არ თანამშრომლობს პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოდულის სწავლის შედეგები მიიღწევა დაწესებულების ბაზაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შექმნილია უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემო. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის საჭირო უსაფრთოხების პირობების შექმნა/დაცვა მოხდება იმიტირებული სასწავლო გარემოს შექმნისას.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- სასწავლო გეგმები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება“;
- ინტერვიუს შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**

დაწესებულებას „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებაში“ გაწერილი აქვს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა. აღნიშნული თავით რეგულირდება პროფესიული სტუდენტის შეფასების სახეები, შუალედური შეფასების, პროცესი, განმსაზღვრელი შეფასების პროცესი, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება, შეფასების ინსტრუმენტის სტრუქტურა და შინაარსი, შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია, შეფასების ინსტრუმენტის განახლება, შეფასების პროცესის ადმინისტრირება, შეფასების პროცესის აკომოდაცია ან სტანდარტული პროცედურის ცვლილება, პასუხისმგებელი პირები, შეფასების თარიღის შესახებ სტუდენტის ინფორმირება, განმეორებითი გამოცდები, შეფასების შედეგების შესახებ სტუდენტის ინფორმირება, განმსაზღვრელი შეფასების გასაჩივრება (აპელაცია) და სხვა. რეგულაციის თანახმად სკოლა უზრუნველყოფს ვალიდურ, სანდო, ობიექტურ, სამართლიან და გამჭვირვალე შეფასების სისტემის მოქმედებას პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევების შესაფასებლად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;**

„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებაში“ გაწერილია .ვერიფიკაციის პროცედურა, მიმართულებები და პრინციპები, რომელიც მოიცავს ინფორმაციას ვერიფიკაციის მიზანის, ვერიფიკაციის პროცესის მონაწილეების, ვერიფიკაციის მიმართულებების და მექანიზმების, ვერიფიკაციის პროცესის. ვერიფიკაციის პროცესში მონაწილეობენ პროგრამის ხელმძღვანელი, დარგობრივი/პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირები, შესაძლებელია დარგის მოწვეული სხვა სპეციალისტები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები და სხვ. მექანიზზმზე დაყრდნობით ინტერესთა კონფლიქტი არ იკვეთება. დოკუმენტის თანახმად ვერიფიკაციის გეგმის საფუძველზე, ვერიფიკაციის მიმართულებებია: შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; პროცესის ვერიფიკაცია; მტკიცებულებების ვერიფიკაცია.დაწესებულებაში ვერიფიკაცია ჯერ არ განხორციელებულა, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების“ თანახმად „შეფასების მტკიცებულებები ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. შემდგომ ხდება მათი განადგურება/უტილიზაცია კანონმდებლობითა და ზსდ-ის მიერ დადგენილი წესით ან რჩება ზსდ-ში საგანმანათლებლო მიზნებისათვისან გადაეცემა ავტორს“. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დაწესებულება პირველად მოიპოვებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებას, შესაბამისად მას პროფესიულ სტუდენტთა შეფასება ჯერ არ განუხორციელებია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება
- პროფესიული საგანმანათებლო პროგრამა;

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

თარიღი : 24.07.2025

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: